საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ბაზრებისა და ბაზრობების რაოდენობა

2023

29.07.2024
www.geostat.ge

29.07.2024

ბაზრებისა და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების გამოკვლევის შედეგები

(2023 წელი)

2023 წელს საქართველოში ფუნქციონირებდა ბაზრებისა და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული 194 ეკონომიკური სუბიექტი, რომელთა 30.4 პროცენტი ქ. თბილისშია განთავსებული, ხოლო 19.1 პროცენტი - იმერეთის, 13.4 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთის, 11.9 პროცენტი - კახეთის, 8.8 პროცენტი - ქვემო ქართლის, 5.1 პროცენტი - აჭარის, 4.6 პროცენტი - შიდა ქართლის, 2.1 პროცენტი - მცხეთა-მთიანეთის, 2.1 პროცენტი - სამცხე-ჯავახეთის, 1.5 პროცენტი - გურიის და 1.0 პროცენტი - რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთის რეგიონებში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს ბაზრების და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობას და მათ პროცენტულ განაწილებას საქართველოს რეგიონების მიხედვით, 2022-2023 წლებში.

ბაზრების და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა და მათი პროცენტული განაწილება რეგიონების მიხედვით, 2022-2023 წლებში

	ბაზრებისა და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა (ერთეული)		პროცენტული განაწილება რეგიონების მიხედვით (%)	
	2022 წელი	2023 წელი	2022 წელი	2023 წელი
საქართველო	**197**	**194**	**100.0**	**100.0**
მათ შორის:				
ქ. თბილისი	62	59	31.5	30.4
აჭარის ა.რ.	10	10	5.1	5.1
გურია	3	3	1.5	1.5
იმერეთი	38	37	19.3	19.1
კახეთი	23	23	11.7	11.9
მცხეთა-მთიანეთი	5	4	2.5	2.1
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	2	2	1.0	1.0
სამეგრელო-ზემო სვანეთი	25	26	12.7	13.4
სამცხე-ჯავახეთი	4	4	2.0	2.1
ქვემო ქართლი	16	17	8.1	8.8
შიდა ქართლი	9	9	4.6	4.6

29.07.2024

ბაზრებისა და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტებისათვის ყველაზე გავრცელებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის წილად მოდის 2023 წელს მოქმედი ბაზრებისა და ბაზრობების საერთო რაოდენობის 76.3 პროცენტი, ინდივიდუალური მეწარმეების წილი კი 20.6 პროცენტია. ბაზრებისა და ბაზრობების დანარჩენ ნაწილს გააჩნია სააქციო საზოგადოების (1.6 პროცენტი), კოოპერატივის (1.0 პროცენტი) და სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების (0.5 პროცენტი) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს 2023 წელს მოქმედი ბაზრების და ბაზრობების განაწილებას ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით რეგიონულ ჭრილში:

ბაზრებისა და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით, 2023 წელი

	სულ	მათ შორის				
		შ.პ.ს.	კოოპერატივი	ს.ს.	ი.მ.	ს.პ.ს.
საქართველო	**194**	**148**	**2**	**3**	**40**	**1**
მათ შორის:						
ქ. თბილისი	59	52	-	2	5	-
აჭარის ა.რ.	10	8	-	1	1	-
გურია	3	2	-	-	1	-
იმერეთი	37	29	-	-	8	-
კახეთი	23	12	-	-	11	-
მცხეთა-მთიანეთი	4	2	-	-	2	-
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	2	1	-	-	1	-
სამეგრელო-ზემო სვანეთი	26	16	-	-	9	1
სამცხე-ჯავახეთი	4	4	-	-	-	-
ქვემო ქართლი	17	15	1	-	1	-
შიდა ქართლი	9	7	1	-	1	-

2023 წელს მოქმედი ბაზრებისა და ბაზრობების 95.9 პროცენტი კერძო საკუთრებაშია, ხოლო 4.1 პროცენტი - სახელმწიფო საკუთრებაში.

2023 წელს საქართველოში მოქმედი ბაზრები და ბაზრობები განთავსებულია 2.0 მლნ. კვადრატულ მეტრ ფართობზე. ბაზრებსა და ბაზრობებს გააჩნია 68 ვეტსანექსპერტიზის ლაბორატორია, 1291 შემნახველი საკანი (საწყობი) 28.6 ათასი კვ. მეტრი ფართობით და 0.7 ათასი ტონა ტევადობის 358 მაცივარი.

29.07.2024

2023 წელს მოქმედი ბაზრობების 35.0 პროცენტი გადახურულია (ვაჭრობა შენობაში მიმდინარეობს), 35.6 პროცენტი ღია ტიპისაა (ვაჭრობა მიმდინარეობს შენობის გარეთ), ხოლო 29.4 პროცენტი ნახევრადგადახურულია (ვაჭრობა მიმდინარეობს შენობაშიც და შენობის გარეთაც).

2023 წელს საქართველოში მოქმედი ბაზრებისა და ბაზრობების ტერიტორიაზე მოვაჭრე პირების მიერ ხორციელდება როგორც სასურსათო, ისე არასასურსათო საქონლით ვაჭრობა. ბაზრებისა და ბაზრობების 30.4 პროცენტში ვაჭრობა მიმდინარეობს მხოლოდ არასასურსათო საქონლით, ერთ ბაზრობაზე - მხოლოდ სასურსათო საქონლით, სამი ბაზრობის ტერიტორიაზე - ავტომობილებითაც, ხოლო ხუთ ბაზარში იყიდება მხოლოდ ფრინველი და პირუტყვი.

საქართველოს ბაზრებისა და ბაზრობების ტერიტორიაზე ეკონომიკური სუბიექტების მიერ ვაჭრობა ორგანიზებულია კვირის სხვადასხვა დღეს: ყოველდღიური ვაჭრობა მიმდინარეობს 147 ბაზარში, საკვირაო ვაჭრობა - 23 ბაზარში, კვირა დღის გარდა ვაჭრობს 3 ბაზარი, ხოლო დანარჩენი ბაზრებისა და ბაზრობის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ერთდღიანი, ორდღიანი ან სამდღიანი ვაჭრობა კვირის სხვადასხვა დღეებში.

საქართველოში მოქმედი ბაზრებისა და ბაზრობების ტერიტორიაზე 51.8 ათასი სავაჭრო ადგილია, სადაც მოვაჭრეთა საშუალო დღიური რაოდენობა 37.4 ათას კაცს შეადგენს.

2023 წელს მოქმედ ბაზრებსა და ბაზრობებში სავაჭრო ადგილებს და მოვაჭრეთა რაოდენობას რეგიონების მიხედვით ასახავს შემდეგი დიაგრამა:

სავაჭრო ადგილების და მოვაჭრეთა რაოდენობა



29.07.2024

2023 წელს ბაზრებისა და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების დირექციებში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 2.7 ათას კაცს შეადგენს, რომელთაგან 34.5 პროცენტი ქალია. ამასთან, დასაქმებულთა 45.8 პროცენტი ქალაქ თბილისზე მოდის.

2023 წელს ბაზრებისა და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების შემოსავლებმა 176.9 მლნ. ლარი შეადგინა, საიდანაც 11.4 მლნ. ლარი (6.4 პროცენტი) ვაჭრობის უფლების გაცემიდან (ერთჯერადი გადასახდელის სახით) მიღებული შემოსავალია, 153.2 მლნ ლარი (86.6 პროცენტი) - სავაჭრო ფართის გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი, ხოლო 12.3 მლნ ლარი (7.0 პროცენტი) - სხვა შემოსავალი. ამავე პერიოდში ბაზრებისა და ბაზრობის ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების დანახარჯებმა 108.9 მლნ. ლარი შეადგინა, აქედან შრომის ანაზღაურება დასაქმებულ პერსონალზე 36.5 მლნ. ლარია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: 2 36 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge